ქვეპროგრამის დასახელება: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

ვინ არის ქვეპროგრამის მიმწოდებელი?

ა(ა)იპ ,,თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი" (მის: მიცკევიჩის ქ. 29ა),

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

ქვეპროგრამა განსაზღვრავს გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიურ კონტროლს. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას მიეკუთვნება:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკური ღონისძიებების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობა, ანტირაბიული სამედიცინო დახმარების მიწოდების ხელშეწყობა; სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდება; გადამდებ დაავადებათა პრევენცია:
- დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ეპიდემიოლოგიური მონაცემების რეგულარული შეფასება, მონაცემთა ანალიზი;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საინფორმაციო კამპანიების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებში ორგანიზება და წარმართვა.

ვის შეუძლია ქვეპროგრამით სარგებლობა?

ქვეპროგრამაში ჩართული პირები არიან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები.

რა მოცულობით ფინანსდება მომსახურებები?

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების დაფინანსება ხორციელდება სრულად, თანაგადახდის გარეშე.